

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთში მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება აქვთ მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს, სამხედრო ფორმირებათა მოსამსახურეებს, რომლებიც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს იურისდიქციაში იმყოფებიან და რომლებმაც მიიღეს ამაზე ნებართვა აფხაზეთის ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოებისაგან.

ყველა სხვა ნებართვა და მოწმობა, რომლებიც იძლევა იარაღის შენახვისა და ტარების უფლებას, აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოა და არ შეიძლება ცნობილ იქნეს სამართლებრივ საფუძვლად პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისთვის.

2. სამართალდამცავმა ორგანოებმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი შინაგანი ჯარების ფორმირებები) დაუყოვნებლივ ორგანიზება გაუკეთონ ერთობლივ მუშაობას მოსახლეობისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსული მოქალაქეებისაგან უკანონოდ შენახული იარაღის ჩამოსართმევად.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1992 წლის 26 თებერვალი.

(გაზეთი “აფხაზეთის ხმა”, # 27, 1992 წლის 29 თებერვალი.)